HonorarArzt.de **Rezensionen** ★★★★★

Name: **Mariam G.**

Herkunftsland: **Georgien**

მოგესალმებით ძვირფასო კოლეგებო,

მე ვარ მარიამ გოგოლიძე, 32 წლის, ექიმი ნევროლოგი, რადიოლოგი.
მოხარული ვარ, რომ მაქვს შესაძლებლობა გაგიზიაროთ ჩემი გამოცდილობა, რომელიც მივიღე ბატონ რიჩარდ ტომალკასთან თანამშრომლობით.

ჩემი ისტორია და სურვილი იმისა, რომ წავსულიყავი გერმანიაში იწყება ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში თუმცა გარკვეული მიზეზების გამო მაშინ ეს მიზანი მომავლისთვის გადავწიე.

როდესაც ნებისმიერ საქმეს ვიწყებთ რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი? რა თქმა უნდა სწორი ინფორმაციის მიღება, რადგან ერთმა არასწორად მოწოდებულმა ინფორმაციამაც კი შეიძლება ძალიან დაგვიგრძელოს მიზნამდე მისაღწევი გზა. მე როდესაც Honorarzt.de სააგენტოს და მისი დამფუძნებლის ბატონი ტომალკას შესახებ გავიგე უკვე ვფლობდი საკმაოდ დიდ ინფორმაციას გერმანიაში ექიმად მუშაობის დაწყების შესახებ და ნაბიჯებიც უკვე გადადგმული მქონდა სასურველი მიზნისკენ თუმცა იყო ბევრი საკვანძო საკითხი, რომელშიც მხარდაჭერა მჭირდებოდა. დეტალებში ჩაძიებასა და მის მოყოლას ვფიქრობ არ აქვს თქვენთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ამიტომ მთავარზე გადავალ. მე ამ სააგენტოს და პირადად ბატონი ტომალკას დახმარებით მივიღე უაღრესად დიდი მხარდაჭერა და რაც მთავარია კომპეტენტური და დროში არა გაწელილი. ყველა პროცესი მიმდინარეობდა ჩემი უშუალო ჩართულობით და აბსოლიტურად გამჭირვალედ რაც რა თქმა უნდა დიდ სანდოობას იწვევდა ჩემში.

მე საქართველოში დამთავრებული მქონდა რეზიდენტურა რადიოლოგიის მიმართულებით და მინდოდა გერმანიაში საბოლოოდ ნეირორადოლოგიის მიმართულებით მემუშავა. ასევე მქონდა გოეთეს C1 დონის სერთიფიკატი. მას შემდეგ რაც ყველა საჭირო საბუთს მოვუყარე თავი და გამოვუგზავნე ბატონ ტომალკას (თარგმანი და დამოწმება მან გააკეთა) დავიწყე Fachsprachprüfung-ისთვის მზადება და პარალელურად ჰოსპიტაცია. მაშინ ჯერ კიდევ არ იყო გახსნილი აკადემია ამიტომ თავად მოვემზადე გამოცდისთვის და წარმატებით ჩავაბარე. მზადების პარალელურად მქონდა გასაუბრებები კლინიკებთან და საბოლოოდ შევაჩერე არჩევანი ნევროლოგიის მიმართულებით, რადგან ეს ჩემი საბოლოო მიზნის მისაღწევად მნიშვნელოვნად ჩავთვალეთ. ამ გადაწყვეტილებით უაღრესად ბედნიერი ვარ რადგან ვიპოვე ის მიმართულება, სადაც თითოეული სამუშაო დღე ჩემთვის ახალი გამოწვევაა. მუშაობის უფლების მიღების შემდეგ პირველივე დღიდან დავიწყე მუშაობა. შემდეგ გავაკეთეთ განაცხადი აპრობაციაზე. ვმუშაობდი და პარალელურად ვემზადებოდი მე

თვითონ გამოცდისთვის, რომელმაც პირველივე გასვლაზე წარმატებით ჩაიარა და ავიღე გერმანული აპრობაცია.

მთელი ამ პერიოდის განმავლობაში უდიდესი მხარდაჭერა მქონდა როგორც ორგანიზატორული ასევე ემოციური კუთხით. არასდროს მიგვრძნია, რომ რაიმე საკითხთან დაკავშირებით ვერ შევძლებდი ბატონ ტომალკსთან მსჯელობას და სწორ გადაწყვეტილებამდე მისვლას.

უკვე სამი წელია რაც ვმუშაობ ნევროლოგიის მიმართულებით (მომავალში ვგეგმავ დამატებით გავაგრძელო ნეირორადიოლოგია) და ბედნიერი ვარ ჩემი ყოველი დღით. უამრავი შესაძლებლობა იხსნება განსაკუთრებით აპრობაციის მიღების შემდეგ.

თითოეულ თქვენგანს ძვირფასო კოლეგებო, რომლებიც ეხლა ამ სტატიას კითხულობთ და თქვენი კარიერული მომავლის გაგრძელება გერმანიაში გაქვთ გადაწყვეტილი საუკეთესო შესაძლებლობა გეძლევათ ბატონ ტომალკასთან თანამშრომლობით. ბოლო წლებში მანდ დაარსა აკადემიაც, სადაც გაქვთ შესაძლებლობა გაატაროთ მოსამზადებელი პერიოდი, მოემზადოთ აკადემიის პედაგოგთან, გაიაროთ პარალელურად ჰოსპიტაცია და გასაუბრებები. ვფიქრობ მსგავსი ხელშეწყობა წარმოუდგენელიც კი არის.

მიიღეთ გადაწყვეტულება და გადადგით ნაბიჯი თქვენი საოცნებო და დამოუკიდებელი მომავლისთვის. დაბრკოლებები იქნება თუმცა მათ გადაჭრაში და მიზნამდე სწრაფად მისვლაში დაგეხმარებათ ბატონი ტომალკა და მისი გუნდი.

წარმატებებს გისურვებთ!
თქვენი მიზნისკენ მისაღწევ გზაზე აღმოცენებული თითოეული დაბრკოლება აქციეთ თქვენს უპირატესობად.

სიყვარულით,
მარიამ გოგოლიძე
09.09.2023